



# European Business Association Position Paper

## On the Suspension of Occupational Health and Safety (OSH) Specialists Retraining Programs

July 6, 2020

The European Business Association (EBA) unites over 100 Georgian and European companies. The organisation's vision is that doing business in Georgia will be the same as doing business in Europe and the mission covers two main directions: 1. To advocate/lobby for European businesses in Georgia; 2. To facilitate the development of trade and investment between Georgia and Europe.

EBA positively assesses the reforms related to the EU Association Agreement aimed at implementing labor safety standards and protecting employees' rights in Georgia. EBA had been actively involved in the process of raising public awareness of OSH issues throughout 2019 and co-organised the Georgian "Labor Safety Week" in cooperation with the Labor Inspectorate, European experts and public/private sector representatives who all participating within the framework of the event. EBA expresses its readiness to assist in raising public awareness and promoting the need to overcome Labor Safety challenges in Georgian society going forward to the future. We consider that raising public awareness is a key success factor.

According to the Organic Law of Georgia on Labor Safety "*to organize the development of targets in terms of Labor Safety the Employer is obliged to have one or more Labor Safety specialist or to create labor Safety service for this purpose*". However, it is already six months since the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia terminated the operation of educational institutions that are providing Labor Safety training/retraining programs.

As a result, Labor Safety educational institutions and consulting companies, as well as business operators that are willing to retrain their staff, have been left in an uncertain waiting mode.

The necessity to protect Labor Safety standards and norms of hygiene have become even more important due to COVID-19. In such a situation it is crucially important to involve Labor Safety specialists in the process in order to mitigate negative impact in general.

It is important to have a sufficient number of retrained and qualified staff to assist business in creating a safe labor environment in order to overcome these challenging times which are caused

pg. 1

European Business Association

ID: 405205521

Address: 3, Rapiel Eristavi Str. IV floor, Tbilisi, 0179 Georgia

Contact: +995 599 25 66 55; [info@eba.ge](mailto:info@eba.ge)

[www.eba.ge](http://www.eba.ge)

by the pandemic, however it is currently impossible as the relevant retraining programs had been terminated.

Termination of Labor safety programs is a problem. Business operators had been inspected by the department of Labor Safety Conditions and the absence of Labor Safety specialist in companies is considered as a violation, yet there is a lack of specialists on the labor market. To increase the mandate of Labor inspection is currently a subject of wide discussion and it is important that businesses with relevant qualified staff are ready to meet the inspections.

### **Recommendations:**

- Stimulate and increase the labor Safety specialist training/retraining process to offer demand driven programs of high quality.
- Urgently inform the private sector, in particular the Labor Safety program provider institutions, when and how the training processes will be renewed and make clear the future state policy to make it as predictable as possible in order to protect business from additional damages. All the above will assist educational institutions to continue operation and develop pragmatic action plan. It will promote and increase the number of qualified specialists in the country, create new job opportunities and consequently have a positive impact on business and society.
- Develop a culture of Labor Safety as this still remains a significant societal challenge. Giving inspectors a wider mandate will not in and of itself address the problem. Raising cultural awareness is a prolonged and ongoing process and in order to stimulate this process, in the first place employees and employers, correct and consistent policies are required from the relevant responsible authorities.

John Hugo Freddy Braeckeveldt

*Chairman of the European Business Association*



## ევროპული ბიზნეს ასოციაციის პოზიცია

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების გადამზადების პროგრამების

შეჩერებასთან დაკავშირებით

6 ივლისი, 2020

ევროპული ბიზნეს ასოციაცია (EBA) 100-ზე მეტ ქართულ და ევროპულ კომპანიას აერთიანებს. ორგანიზაციის ხედვაა, რომ საქართველოში ბიზნესისთვის შეიქმნას ისეთივე გარემო, როგორც ევროპაშია, ხოლო, მისი მისია შემდეგ ორ მიმართულებას მოიცავს: (1) საქართველოში ევროპული ბიზნესის ადვოკატირება/ლობირება; (2) საქართველოსა და ევროპას შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა.

EBA დადებითად აფასებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე რეფორმებს, რომელიც მიმართულია ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვასა და დასაქმებულთა უფლებების დაცვისკენ. 2019 წელს EBA-მ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ მხრივ ცნობიერების ამაღლების პროცესში - შრომის ინსპექციასთან ერთად მოაწყო შრომის უსაფრთხოების კვირეული ევროპელი ექსპერტებისა და საჯარო/კერძო სექტორის ჩართულობით. EBA სამომავლოდაც მზადყოფნას გამოთქვამს ხელი შეუწყოს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევისა და საზოგადოებრივი კულტურის ამაღლებას.

შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „*შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისთვის .....*, *დამსაქმებელი ვალდებულია ჰყავდეს 1 ან მეტი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან აღნიშნული მიზნით შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური*“, თუმცა, დღეს არსებული მდგომარეობით, იმ სასწავლო ორგანიზაციებს, რომლებიც შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა გადამზადების პროგრამას ახორციელებენ, უკვე მეექვსე თვეა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეჩერებული აქვთ ეს საქმიანობა. ამ ხნის განმავლობაში, სწავლების განახლების პროცესთან დაკავშირებით გაურკვევლობაში/მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან, ერთი მხრივ, შრომის უსაფრთხოების სასწავლო და საკონსულტაციო კომპანიები, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზნესის წარმომადგენლები, რომსელთაც სურთ გადაამზადონ მათი არსებული თანამშრომლები შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

COVID-19-ის შედეგად შექმნილი მდგომარეობის ფონზე კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა შრომის უსაფრთხოების სტანდარტების და ჰიგიენის ნორმების დაცვამ. ასეთ დროს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ჩართვა და კორონავირუსის უარყოფითი ეფექტის შემცირებაში მონაწილეობა შეიძლება ითქვას, რომ გადააწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

პანდემიასთან ბრძოლისთვის საჭიროა ქვეყანაში იყოს საკმარისი რაოდენობის გადამზადებული და მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დაეხმარება ბიზნესს უსაფრთხო შრომის გარემოს შექმნაში, რაც შესაბამისი სპეციალისტების გადამზადების პროგრამების შეჩერებით ფაქტობრივად შეუძლებელია.

გადამზადების პროგრამების შეჩერების საკითხი პრობლემურია ასევე იმის ფონზე, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ბიზნეს ოპერატორის შემოწმებისას დარღვევად ფიქსირდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არარსებობა კომპანიაში, მაშინ როცა შრომის ბაზარზე სპეციალისტების დეფიციტია შექმნილი. ამათან, იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ქვეყანაში აქტიურად განიხილება შრომის ინსპექციის მანდატის გაფართოების საკითხი, აუცილებელია, რომ გაფართოებული მანდატის მქონე შრომის ინსპექციას ბიზნესი დახვდეს სათანადოდ მომზადებული კვალიფიციური კადრებით.

### რეკომენდაციები

- აუცილებელია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების მომზადების პროცესის დაჩქარება, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შეთავაზებული იყოს პრაქტიკულ საჭიროებებთან თანხვედრაში მყოფი მაღალი ხარისხის პროგრამები.

- მნიშვნელოვანია, რომ კერძო სექტორს და განსაკუთრებით შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებებს დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია, როდის და რა ფორმით იგეგმება სწავლის განახლების პროცესი - რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა იყოს მაქსიმალურად განჭვრეტადი და უფრო მეტად აღარ დაზიანდეს ბიზნესი. აღნიშნული დაეხმარება სასწავლო ორგანიზაციებს არ შეწყვიტონ ოპერირება და შეიმუშავონ პრაგმატული სამოქმედო გეგმა. ამასთან, ხელი შეეწყობა კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობის გაზრდას ქვეყანაში, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ბიზნესზე/საზოგადოებაზე და ხელს შეუწყობს ახალი მოთხოვნადი პროფესიის მქონე პირების დასაქმებას.

- ამასთან, შრომის უსაფრთხოების კუთხით კულტურის ამაღლება კვლავ გამოწვევად რჩება და მხოლოდ ინსპექტორთა მანდატის გაფართოებით პრობლემა ვერ გადაიჭრება. კულტურის ამაღლება ხანგრძლივი პროცესია და მის დასაჩქარებლად, უპირველესად, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ცნობიერების გაზრდისთვის სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება საჭირო შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოების მხრიდან.

*პატივისცემით,*

ჯონ ჰიუგო ბრაეკველდტი

*ევროპული ბიზნეს ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე*

